საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №147/18-1

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 25 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 23 ივლისს მომზადებული №147/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- -- -- -- მიერ 2011-2012 წლებში საქმის ერთი და იმავე შემადგენლობაზე განაწილების საკითხზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- --.

-- სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 ივნისის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ გაუქმდა -- რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 მარტის

გადაწყვეტილება ააიპ -- -- -- -- 2010 წლის 09 მარტის №--, №--, №-- ბრძანებების ბათილად ცნობის ნაწილში და ამ ნაწილში -- -- სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება სარჩელის დაუშვებლობის გამო; დანარჩენ ნაწილში -- რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა -- --.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- -- -- 2011 წლის 26 სექტემბრის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი -- სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 ივნისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის ნაწილში (საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ) დარჩა განუხილველად დაუშვებლობის მოტივით; ხოლო დანარჩენ ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- -- -- 2011 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვებაზე.

2012 წლის 26 აპრილს -- -- განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- -- -- 2012 წლის 07 მაისის განჩინებით -- -- განცხადება დატოვებულ იქნა განუხილველად.

2012 წლის 28 მაისს -- -- კვლავ მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- -- -- 2012 წლის 20 ივნისის განჩინებით -- -- განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^2 მუხლის თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან - 1 წელი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი მიუთითებს 2011-2012 წლებში განხორციელებულ ქმედებებზე. გასათვალისწინებელია, რომ დღეის მდგომარეობით, გასულია მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ხუთწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №147/18-1 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი